წერილის ნომერი: **62-01261632000**
თარიღი: **12/06/2026**

ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

როგორც მოგეხსენებათ, სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტია დაგეგმილი ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, რომელიც გულისხმობს ნაგავსაყრელზე ნაჟური წყლების (ლიჩეტის) გამწმენდი ახალი სისტემის მოწყობას. მოცემული პროექტი ხორციელდება საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან“ დაკავშირებით გაფორმებული სასესხო შეთანხმების ფარგლებში. პროექტის მიზანია დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე არსებული ნაჟური (ჩამონაჟონი) წყლების გამწმენდი სისტემის განახლება, რაც ხელს შეუწყობს პოლიგონის გათავისუფლებას იქ დაგროვილი ნაჟური წყლებისგან და ახლად წარმოქნილი ლიჩეტის - ავტომატურ გაწმენდას.

არსებული მდგომარეობით, 2010 წლის 24 მარტის სამინისტროს მიერ გაცემული N12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მოწყობილია ნაჟური წყლების გამწმენდი სისტემა, რომელმაც ფუნქციონირება შეწყვიტა 2017 წელს. აღნიშნული განაპირობა შერჩეული გაწმენდის (ბიოლოგიური) მეთოდისა და წარმადობის არასაკმარისმა მაჩვენებლებმა - მოწყობილი ნაგებობა სრულად ვერ ერეოდა ნაგავსაყრელზე წარმოქმნილ ლიჩეტს. შესაბამისად, ნაგავსაყრელზე ამ დროისთვის წარმოქმნილი ნაჟური წყლები გროვდება შესაბამის ავზებში, ხდება მათი რეცირკულაცია და დამუშავების გარეშე გამოიყენება უჯრედების დასანამად. ნაგავსაყრელის სწორი ფუნციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აღნიშნული არაეფექტური ობიექტის ნაცვლად ახალი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომელიც შეძლებს ნაგავსაყრელზე არსებული ნაჟური წყლების გაწმენდასა და მისი რაოდენობის შემცირებას. თავის მხრივ, მოცემული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნაგავსაყრელის ოპერირების ხარისხსა და უჯრედების მდგრადობას. სწორედ არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად, „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის“ ფარგლებში, დაგეგმილია ნაგავსაყრელზე ნაჟური წყლების გაუმჯობესებული გამწმენდი სისტემის მოწყობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ ნაგავსაყრელზე არსებულ მდგომარეობასა და ყოველ დაგეგმილ სამუშაოსთან (მათ შორის, ნაჟური წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობა) დაკავშირებით მიმდინარეობს „გარემოსადაცვითი

შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული პროცედურები, არსებული გზშ-ის განახლების მიზნით, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები უკვე დაწყებულია. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროცედურა დიდ ვადებთანაა დაკავშირებული, ამასთან, ნაჟური წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობის სამუშაოები გათვალისწინებულია 2010 წლის 24 მარტის სამინისტროს მიერ გაცემული N12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ხოლო პროექტი უკვე მიმდინარეა და საჭიროებს სამშენებლო ნებართვას, განსახილველად წარმოგიდგენთ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

დანართი - 2 (ორი) დოკუმენტი.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი პაპავა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორი